

პროლეტარული კულტურული მუნიციპალიტეტის მიერთდით!

საქართველოს სოც.

საგარენაციანო კომისარიატის

# კარიბის და განკარგულებათა კრებული

1927 წ.

იუსტიციის სამსახურის კომისარიატის გამოცემა

1927 წ. მაისი 28

№ 3

ექილი პრეზიდი

შ 0 6 1 1 6 ს 0:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებანი.

38. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 26—საგლეხო მეურნეობისათვის მიყენებული წანახედის ფაქტის გამორკვევისა და ამ წანახედით გამოწვეული ზარალის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ.

39. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 27—საქართველოს სსრ ტყის კოდექსისათვის 71 მუხ. დამატების შესახებ.

40. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 28—სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202<sup>1</sup> მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება სათემო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202<sup>1</sup> მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული—15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ.

41. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 29—ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების განაწილებისა და სარგებლობის წესის შესახებ.

42. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 30—საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 და 222<sup>3</sup> მუხ. რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 102<sup>1</sup>, 102<sup>2</sup>, 102<sup>3</sup>, 102<sup>4</sup> და 202<sup>1</sup> მუხ. დამტების შესახებ.

43. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 31—სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოების შესახებ.

44. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 32—სისხლის სამართლის კოდექსისათვის 102<sup>5</sup> მუხ. დამტების შესახებ.

45. დადგენილება ც. ა. კ. № 33 ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დებულების საბჭოს დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება ტფილისის ქალაქის მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დებულების საბჭოს შესახებ.

46. დადგენილება ც. ა. კ. № 34—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. ოქტომბრის 30-ს თარიღისა და მე-13 №-ის დადგენილებით დაარსებული „მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის“ სახელწოდების შეცვლისა, აავე კომიტეტის მიერ „საქართველოს ცენტრალურ ალმასრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დაარსების შესახებ“—1922 წ. ოქტომბრის 30 თარიღით და მე-13 №-რით გამოცემული დადგენილების გაუქმებისა და მშრომელ ქალთა და შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ.

დებულება მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისა.

47. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 35—მოუკლელობის გამო ქალაქად საცხოვრებელი შენობების მუნიციპალიზაციის შესახებ.

48. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 36—საქართველოს ს. ს. რ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლისათვის შენიშვნის დამტების შესახებ.

49. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 37—საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიკურ საქონისთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მონაწილეობის შესახებ საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში გადამწყვერი ხმის უფლებით.

50. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 38—სისხლის სამართლის კოდექსის 82 და 82<sup>1</sup> მუხლების შეცვლის შესახებ.

51. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 39—სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად აღმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

დებულება სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად აღმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათთვის გადასახდელის დადგების შესახებ.

52. დადგენილება ც. ა. კ. და ს. კ. ს. № 40—სისხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლისთვის შენიშვნის დამატების შესახებ.

53. დეკრეტი ც. ა. კ. და ს. კ. ს.—მოქალაქეთა აღმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ მათ მიერ დაჭრილ სადგომებიდან.

### სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

54. დადგენილება ს. კ. ს.—აჭარის წყალის ჰიდრო-ელექტრო-სადგურის გვირაბის აღმოსავლეთ ნაწილში ზეავის ჩამოწოლის მიზეზების გამოსარკვევად სპეციალური ტეხნიკური კომისიის დანიშვნის შესახებ.

55. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის საკონტროლო ციფრების შედგენის ვადისა და წესის შესახებ.

56. დადგენილება ს. კ. ს.—პროფესიონალური კომისიის დაკრძალვისათვის კომისიის მოწყობის შესახებ.

57. დადგენილება ს. კ. ს.—გაზაფხულზე მოსალოდნელი წყალდიდობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის სოფლის მოსახლეობის ბეგარაზე გაწვევის შესახებ.

58. დადგენილება ს. კ. ს.—საქართველოს ს. ს. რ. ეკონომიკურ საბჭოს-თან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოლების შესახებ.

დებულება საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ.

### სახალხო კომისართა საბჭოს განკარგულებანი.

59. ცირკულარული—სახელმწიფო და აღილობრივ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა მიერ აღსრულების ფურცლით გადასახადის გა-სრუმრების წესის შესახებ.

## ცენტრალური პლანირების დადგენილებანი.

38. დადგენილება № 26 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საგლეხო მეურნეობისათვის მიყენებული წანახედის ფაქტის გამორკვევისა და ამ წანახედით გამოწვეული ზარალის რაოდენობის განსაზღვრის წესის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

1. წანახედის ფაქტის გამორკვევა და საგლეხო მეურნეობისათვის ნათესი-

სა, ბოსტნისა, ბალისა და სხვ. წახდენით მიყენებული ზარალის რაოდენობის განსაზღვრა დაეკისრება განსაკუთრებულ კომისიას, რომელიც დაარსდება თვითეულ სოფელში და აგრეთვე თვითეულ სათემო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული კომისიები მოეწყობიან—თვითეული შემდეგი შედგენილობით: თავმჯდომარის, ორი წევრისა და 3-დან 5 კანდიდატამდე, რომელთაც დანიშნავს: სოფლისა და თემის კომისიაში—თემის აღმასრულებელი კომიტეტი საბჭოს წევროთაგან ან საარჩევო უფლების მქონე ადგილობრივ მოქალაქეთაგან, ხოლო სამაზრო კომისიაში—სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა ან კანდიდატთაგან, ან და საარჩევო უფლების მქონე ადგილობრივ მოქალაქეთაგან.

3. სამაზრო კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს გამოარკვიოს მასიური ხასიათის წანახედის ფაქტი და განსაზღვროს ისეთი წანახედით გამოწვეული ზიანის რაოდენობა, რომელიც მიუყენებია იმავე თემის შედგენილობაში შემავალი მთელი სოფლის საქონელს.

სათემო კომისია გამოარკვევს მასიური ხასიათის წანახედის ფაქტს და განსაზღვრავს ისეთი წანახედით გამოწვეული ზარალის რაოდენობას, რომელიც მიუყენებია იმავე თემის შედგენილობაში შემავალი მთელი სოფლის საქონელს.

სასოფლო კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს—დაადასტუროს წანახედის ფაქტი და შეაფასოს წანახედით მიუყენებული ზიანი ყოველ შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც სამაზრო და სათემო კომისიის კომპეტენციას შეადგენს.

4. დაინტერესებული მხარის მოთხოვნით ან სამაზრო თუ სათემო აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით სათანადო კომისია დაათვალიერებს წანახედ ადგილს და გამოარკვევს ზარალის რაოდენობას, რაზედც შეადგენს ოქმს, რომელშიაც აღნიშნულ უნდა იქნეს: დრო და ადგილი ოქმის შედგენისა, კომისიის შედგენილობა, რა არის სახელმისამართი წანახედით გაფუჭებული, რაოდენობა და ღირებულება წანახედისა, საერთო რაოდენობა მიყენებული ზიანისა და ვის ეკუთვნის წამხდენი საქონელი.

5. უკეთუ კომისიის თავმჯდომარე ან წევრი დაინტერესებულია ზარალის გამო აღძრული საქმის შედეგით, იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს წანახედის დათვალიერებისა, შეფასებისა, ოქმის შედგენისაგან როგორც რომელიმე მხარის განცხადებით, ისე საკუთარი განცხადებითაც. თავმჯდომარის თუ წევრის ჩამოცილებისათანავე კომისიის შედგენილობას შეასებს კანდიდატი.

6. სამაზრო და თემის აღმასრულებელ კომიტეტს შეუძლიან შეამოწმოს ოქმის შინაარსისა და კომისიის მიერ განსაზღვრული ზარალის რაოდენობის სისწორე.

7. კომისიის მიერ შედგენილი ოქმი განეცხადება ორივე მხარეს და, უკეთუ საქმე მორიგებით გათავდა ან მხარენი შეთანხმდნენ ზარალის ანაზღაურების საკითხე, ეს შეთანხმება ჩაიწერება ოქმში, რომელსაც მხარენი ხელს მოაწერენ.

8. უკეთ მორიგება და შეთანხმება არ მოხდა, მოთხოვნა ზარალის ანაზღაურების შესახებ მხარეებ მხარეს სასამართლოს წესით უნდა წარუდგინოს საერთო საფუძველზე, გარდა ისეთი საქმისა, რომლითაც წანახედით მიუყენებული ზიანი ასანაზღაურებელია 15 მანეთზე არა უმეტესი რაოდენობით; ასეთს საქმეს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით კომისია გადასცემს სათვიომ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც გადასწყვეტს მას განსაკუთრებული კანონით განსაზღვრული წესისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. მარტის 5.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-67 №-ში 1927 წ. მარტის 26.

### 39. დადგენილება №27 ც. პ. პ. და ს. პ. ს.

საქართველოს სსრ ტყის კოდექსისათვის 71 მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწყვეტის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ—სრულიად საქართველოს საბჭოთა (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენებ:

საქართველოს სსრ ტყის კოდიქს დაემატოს 71 მუხლი შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 71. ტყეების მტაცებლობისა და განადგურებისაგან დასაცავად მიწადმოქმედების სახლობ კომისარიატი გამოსცემს საგალდებულო დადგენილებათ ტყისა და ტყის სანახების სარგებლობის (პირდაპირი და არაპირდაპირი) წესის შესახებ.

ამ დადგენილებათა დარღვევა გმირიწვევს სისხლის სამართლის კოდექსით დაწესებულ სოციალური დაცვის ღონისძიებას.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წლ. მარტის 5.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-73 №-ში 1927 წ. აპრილის 2.

40. დადგენილება № 28 ც. პ. პ. დ. დ. ს. ს.

სათემო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202<sup>1</sup> მუხლში აღნიშნულ დაგენოლებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით შეიცნობული — 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღენერა:

1. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება — სათემო აღმასრულებელ კომიტეტების მიერ სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202<sup>1</sup> მუხლში პრიზულ დადგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ საქმეთა და აგრეთვე წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიუკრძალი, 15 მანეთზე არა უმეტესი ზრალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ — და ეს დებულება სამოქმედოდ შემოლებულ იქნეს ორი კვირის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

2. სახალხო სასამართლოებში წარმოებული გადაუწყვეტელი საქმეები:  
 ა) სისხლის სამართლის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202<sup>1</sup> მუხლში აღნიშნულ  
 დადგენილებათა დარღვევის შესახებ და ბ) წანახედით და ტყის წესების დარ-  
 ღვევით მიყენებული, 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის გადახდევინების შესა-  
 ხებ—გადაეცეს განსახილველად სათანადო ოქმის აღმასრულებელ კომიტეტებს.

3. ასეთივე საქმები, რაც სასამართლოს საკასციო ინსტანციის განსახილებულია, დატოვებულ იქნეს სასამართლო დაწესებულებებში — შემდგომი წარმართვისა და განხილვისათვის სასამართლოს წესით, — ორმეტიც დადგენილია სისხლის სამართლისა და სამოქალაქო სამართლის და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით.

4. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიის, იუსტიციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით, გამოსცემს ორი კვირის განმავლობაში ინსტრუქციის ამა დადგენილების მე-2 მუხ. აღნიშნული საქმეების ჩაბარებისა და მიღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ომასრულ-  
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარე შ. ელიაზა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი 6. თოდრისა.

1927 ජූ. මාර්තු දින 5.  
උපුන්ලිසිය—සාසාන්ලු.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-67 №-ში 1927 წ. მარტის 26-ით.

ପ୍ରକାଶକଳେଖନ

სათემო აღმ-ს რულებელი კომიტეტის მიერ ხისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 202<sup>1</sup> მუხლში აღნიშნული დაგენილებათა დარღვევის გამო აღძრულ ს-ქმეთა და აგრეთვე წანაცელით დი ტეს წესების დარღვევით მიღენებული, 15 მანეთზე არა უმტკრესი, ზარალის გამო აღძრულ საქმეთა განხილვის წესის შესახებ.

1. სისხლის სამართლის კოდექსის 102 მუხლის მე-2 ნაწილში და 2021 მუხლში აღნიშნულ დადგენილებათა დარღვევის გამო აღმრულ საქმეთა და აგრძელების წანახედით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული, 15 პანეთზე არა უქცევს ზარალის გამო აღმრულ საქმეთა განხილვა, როგორც დროებითი ღონისძიება, მოხდება სათემო აღმასრულებელ კომიტეტში შემდეგი მუხლებით გათვალისწინებული წესებისამებრ.
  2. იმ დამნაშავეს, რომელსაც ამა დადგენილების 1-ლი მუხლით გათვალისწინებული დარღვევები ჰქონალდება, და სათანადო შემთხვევაში საქმის მოხაწილე მხარეებს—საქმის განხილვის დღე უწყების გაგზავნით ეცნობებათ.
  3. უკეთუ ბრალდებული ან მხარენი, რომელთაც დაბარების უწყება პირველად მიიღეს, არ გამოცხადდენ, მათ უწყება ხელშეკრულ გაეგზავნებათ და, თუ მეორედაც არ გამოცხადდენ—საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მათ დაუსწორებლიდ.
  4. საქმის გარჩევა მოხდება საჯაროდ, სათემო აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარისა და 2 წევრის შედგნილობით.
  - უკეთუ თემის აღმსკომის რომელიმე წევრი ადგილობრივ არ იმყოფება ან რაიმე სხვა მიზეზის გამო მას არ შეუძლიან საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღოს, მის მაგირე საქმის განსახილველად მოიწვევა თემის (ან სოფლის) საბჭოს წევრი რიგის მიხედვით.
  5. უკეთუ სათემო აღმსკომისა და აგრძელებელი (სოფლის) საბჭოს თავმჯდომარე და წევრი საქმის გადაწყვეტაში დაინტერესებულია ან ბრალდებულთან თუ მხარეებთან რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობაშია, იგი ჩამოცილებულ უნდა იქნეს საქმის გარჩევისაგან, როგორც საქმეში მონაწილე დანწერებულ პირთა განცხადებით, ისე საუთარო განცხადებითაც.
  6. სათემო აღმასკომის დადგენილება განხილული საქმის შესახებ გამოიტანება ხმის მარტივი უმეტესობით (მუხ. მე-4) და შედგენილ იქნება წერილობით: დადგენილებას ხელს მოაწერს თავმჯდომარე და ორი წევრი.
  7. თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება ბრალდებულს ან უქმაყოფილ მხარეს შეუძლიან განსახირეობის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტში შეიღილი დღის განმავლობაში დადგენილების გამოტანის დღიდან.
  8. თემის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება მე-7 მუხლით გათვალისწინებული ვადის გასელამდე არ უნდა იქნეს აღმასრულებული, ხოლო განსაზიგრებული დადგენილება—მანამდე, ვიდრე მას მაზრის აღმასრულებელი კომიტეტი არ დაამტკიცებს.
  9. მაზრის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.
  10. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, იუსტიციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით გამოსცემს ინსტრუქციას ამა დებულების შეფარდებისათვის.

41. დადგენილება № 29 ც. პ. კ. და ს. კ. ს.

ନୀପିଲାନ୍ତାଳିଆପିଲାକ୍ଷମିନିଲୀ ଓ ମୁନ୍ଦିପିଲାଳିଆପିଲାକ୍ଷମିନିଲୀ ଶେରନ୍ଦେଶୀଳ ଗାନାଧିଲ୍ଲେଶୀଳ  
ଓ ଶାରଙ୍ଗଦିଲ୍ଲେଶୀଳ ପ୍ରେସି ଶେରାଶ୍ରେଷ୍ଠ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ომისარულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ—საცხოვრებელი საღვმების შესახებ—1923 წლ. სექტემბრის 26-ს თარიღით გამოცემული (საქ. სსრ კან. კრ. 1923 წ. მე-2 №-რი, მუხ. 20) დეკრეტის მე-2 და 3 მუხ. განსაკითარებლად და იმ უფლებათა გამოსარკვევად და მოსაქმესრიგებლად, რაც ეკუთვნის სახელმწიფოს—მისი ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების სახით—ნაციონალიზაციაქნილი და მუნიციპალიზაციაქნილი შენობების საჩვენებლობის სფეროში,—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ომისარულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო:

1. ნაციონალიზაციაქმნილ შენობად ჩაითვლება: а) ისეთი შენობა, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნოდა 1921 წ. თებერვლის 25-მდე და რომელსაც, ამა დადგენილების გამოცემის დღისათვის, სარეგებლობს სათანადო ცენტრალური უწყება ან მისი ადგილობრივი ორგანო თავის საჭიროებისათვის; б) ისეთი შენობა, რომელიც სჩულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სეკუ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს სპეციალური დადგენილებით ნაციონალიზაციაქმნილი არის ცნობილი და გათივე დადგენილებით დაუმტკიცდა ცენტრალურ უწყებას და აგრეთვე ისეთ დაწესებულებასა და საწარმოს, რომელსაც საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და უშუალოდ ექვემდებარება ცენტრალურ უწყებას, უკეთს ან დადგენილების გამოცემის დღისათვის მთლიად აღნიშნულ შენობას ან მის დიდ ნაწილს უშუალოდ სარეგებლობს სათანადო ორგანო; გ) ისეთი შენობა, რომელიც აუცილებელი კუთვნილებაა ნაციონალიზაციაქმნილი ფაბრიკისა, ქარხნისა და სხვ სამრეწველო საწარმოსი, განუყრელია დაკავშირებულია მის წარმოებასთან და თანაც შედის სათანადო საწარმოს საწესდებო კაპიტალის შედგენილობაში: სეთი შენობა ნაციონალიზაციაქმნილად ჩაითვლება იმის დამოუკიდებლადაც, მდებარეობს იგი საწარმოს ტერიტორიაზე თუ მის გარეშე.
  2. სახელმწიფოს კუთვნილი ცენტრ სხვა შენობა მუნიციპალიზაციაქმნილ შენობად ჩაითვლება.

შენიკიპალიზაციაქმნილი შენობა ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის გამგებლობაშია.

4. ის „შენობა, რომელიც სახელმწიფო სააგილ-მაული ქონების ტერიტორიაზე, გამოყენებულ იქნება მიწის კოლექსის 105 მუხ. განსაზღვრული წესით.

5. ყველა სახალხო კომისარიატი და სხვა ცენტრალური უწყება ვალდებუ-

ლია, ორი თვეის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოყენისა, შეადგინოს იმ შენობების სია, რაც მის გამეცბლობაშია. ამ სიების განსახილველად იუსტიციის სახ. კომისარიატთან დაარსდება სპეციალური სარესპუბლიკი კომისარიატისა, ამ კომისიაში შევლენ: თავმჯდომარედ უზენაესი სასამართლოს წევრი, ხოლო წევრებად: მუშათა და გლეხთა ინსპექტორის სახალხო კომისარიატისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის წარმომადგენელნი. დაინტერესებული სახალხო კომისარიატებისა და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტების წარმომადგენელნი გამოიწვევიან კომისიის სხდომაშე სათათბირო ხმით.

**შენიშვნა 1.** ქ. ტფილისის შესახებ სიების განსახილველ კომისიაში სახალხო კომისართა საბჭო დანიშნავს ორ დამატებით წევრს გადამწყვეტი ხმის უფლებით.

**შენიშვნა 2.** ყველა ის ცვლილება, რაც კი ამა დადგენილების შესაფერისად შეტანილ უნდა იქნეს სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა (ტრესტების) საწესდებო კაპიტალში, უნდა მოხდეს კანონით დადგენილი წესისამებრ.

6. დაინტერესებულ უწყებას და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს უფლება აქვს განცხადოს პროტესტი მე-5 მუხ. თანახმად შეღენილი კომისიის დადგენილიბაზე. პროტესტი შეტანილ უნდა იქნეს ორი კვირის ვადაზე დღიდან კომისიის დადგენილების ასლის მიღებისა; ამ ვადის გასულის შემდეგ კომისიის დადგენილება განცხადებული პროტესტით (უკეთუ იგი განცხადებულ იქნა) თანდართებით. წარედგინება დასამტკიცებლად სახალხო კომისართა საბჭოს.

7. ნაციონალიზაციაქმნილი შენობების სიას აწარმოებს სათანადო აღმასრულებელი კომიტეტი. ამ სიის ასლი გაეგზავნება ფინანსთა სახალხო კომისარიატს.

8. შემდეგში მუნიციპალიზაციაქმნილი შენობის ნაციონალიზაციაქმნილ შენობად გადარიცხვა ან წინაუქმნოდ—შეიძლება მხოლოდ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით.

9. უწყებას და ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს (უშუალოდ თითონ მას ან სათანადო განკორფილების მეშვეობით) ნაციონალიზაციაქმნილი და მუნიციპალიზაციაქმნილი შენობის მიმართ აქვს, კუთხილებისამებრ, განკარგულების უფლება სამოქ. სამ. კოდ. 22 მუხლისა და ამ საგანშე არსებულ განსაკუთრებულ კანონთა ფარგლებში.

10. ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს დაეკისრება აწარმოოს მუნიციპალიზაციაქმნილი შენობების რეესტრი. ინსტრუქციის ამ რეესტრის წარმოების წესის შესახებ გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რეპუბლიკის სახალხო  
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ჭ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-68 №-ში 1927 წ. მარტის 27.  
1927 წ. მარტის 7.  
ტფილისი—სასახლე.

## 42. დადგენილება № 30 ც. ა. პ. და ს. პ. ს.

საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 და 222<sup>3</sup> მუხ. რედაქციის შეცვლისა და ამავე კოდექსისათვის 102<sup>1</sup>, 102<sup>2</sup>, 102<sup>3</sup>, 102<sup>4</sup> და 202<sup>1</sup> მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

### I.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 102 და 222<sup>3</sup> მუხ. რედაქცია შეიცვალოს შემდეგნაირად:

მუხ. 102. ტყების მტაცებლობისა და განდგურებისაგან დასაცავიდ გამოცემულ დადგენილებათა დარღვევისათვის, ამა კოდექსის 102<sup>1</sup> მუხ. გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უკეთუ უკანონოდ მონაპოვარისა ან ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულება, მიწადომელების სახალხო კომისარიატის მიერ ყოველწლივ დანაწესები ნიხრის მიხედვით, ხუთმეტ მანეთს აღემატება, გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთის ან იძულებით მუშაობას ექვს თვემდე, ან და ჯარიმას არა უმეტეს უკანონოდ მოპოებული მასალისა ან ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი-სამად, დანაშაულის იარაღის კონფისკაციით და უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით. ხოლო, უკეთუ უკანონოდ მონაპოვარისა ან მიყენებული ზიანის რაოდენობა ხუთმეტ მანეთს არ აღემატება—

იძულებით მუშაობას ოც დღე-და-ღამემდე ან ჯარიმას—არა უმეტეს უკანონოდ მონაპოვარისა ან ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი-სამად, რასაც გადასწყვეტს თემის აღმასრულებელი კომიტეტი აღმინისტრატიული წესით, დანაშაულის იარაღის კონფისკაციით და უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით.

მუხ. 222<sup>3</sup>. დარღვევა ნაღირობისა და თევზაობისათვის კონით ან სავალდებულო დადგენილებით შემოღებული წესისა, უკეთუ ქმედობა არ ჰდგება 102<sup>4</sup> მუხ., დევნილ უნდა იქნეს აღმინისტრატიული წესით იძულებით მუშაობით ერთ თვემდე ან და ჯარიმით ას მანეთამდე.

### II.

სისხლის სამართლის კოდექსს დაემატოს 102<sup>1</sup>, 102<sup>2</sup>, 102<sup>3</sup>, 102<sup>4</sup> და 202<sup>1</sup> მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 102<sup>1</sup>. ტყის თვითნებისად გაკაფვა სხვა რამ მიწის ნაკვეთად გადაქცევის მიზნით, ტყეში ცეცხლის გაჩენა ამავე მიზნით ან იმ მიზნით, რომ გან-

გებ ხეების ზექმობა იქნეს გამოწვეული ან და ხის თესლმა არ იხეიროს—გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ეჭვს თვემდე და ჯარიმას—არა უმეტეს უკანონოდ მოპოვებული მასალასა ან ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი სამად, დანაშაულის იარაღის კონფისკაციით და უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით.

მუხ. 102<sup>2</sup>. სისხლის სამართლის კოდექსის 102 და 102<sup>1</sup> მუხ. გათვალისწინებული დანაშაული, უკეთუ იგი ჩადენილი საქურორტო და დაცვითი ტყე-ში—აღკვეთილ ტყეში—ან ისეთ ტყეში, რომელიც გამოცხადებულია სამეცნიერო, ისტორიული, სამკურნალო და კულტურული მნიშვნელობის ტყედ (ტუნების ძეგლი) გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ერთ წლამდე და ჯარიმას—არა უმეტეს უკანონოდ მონაპოვარისა ან ტყის მეურნეობისათვის მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი-ხუთად, დანაშაულის იარაღის კონფისკაციით და უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით.

მუხ. 102<sup>3</sup>. მიწის წიალის დამუშავება საამისოდ შემოღიბული წესების დარღვევით გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე, დამუშავების იარაღის კონფისკაციით და უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით.

მუხ. 102<sup>4</sup>. ნადირობა და თევზაობა აქრძალულ დროს, აქრალულ ადგილას და აქრძალული საშუალებითა და ხერხით გამოიწვევს

თავისუფლების აღკვეთას ან იძულებით მუშაობას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე, სანადირო თუ სათევზაო იარაღის კონფისკაციით და უკანონოდ მონაპოვარის ჩამორთმევით.

მუხ. 202<sup>1</sup>. სოფლად ბალისა, ვენახისა, ბოსტნისა, ნათესისა და სხვ. განზრას წახდენა საქონლის მიშვებით, უკეთუ მიყენებული ზარალი ხუთმეტ მანეთს არ აღმატება, გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ოც დღე-და-ღამემდე ან ჯარიმას—არა უმეტეს წანახდით მიყენებული ზიანის ღირებულებისა ერთი-ორად, რასაც ადმინისტრატიული წესით გადასწყვეტს თემის აღმასრულებელი კომიტეტი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.  
საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო  
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. მარტის 7.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-75 №-ში 1927 წ. აპრილის 5.

## 43. დადგენილება № 31 ც. პ. კ. და ს. კ. ს.

სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოების დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ოლმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო აღენენ:

1. სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოების დებულება დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მთლად საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე დღიდან გამოქვეყნებისა.

2. წინადაღება მიეცეს აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და აჭარისტანის ავტონომიური სოც. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ ალმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ დამტკიცებული დებულების საფუძველზე და ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით დებულებანი სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოების შესახებ, ხოლო სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურმა ალმასრულებელმა კომიტეტმა უნდა გამოსცეს სათანადო დებულება და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ ალმასრულებელ კომიტეტს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ტენცრალური  
ალმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე,

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
ალმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1927 წ. მარტის 8.  
ტფილისი—სასახლე.

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სამაზრო საქალაქო მილიციის სამმართველოების შესახებ.

## კ ა რ ი.

1. სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველო არის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ადგილობრივი ორგანო და იგი, არსებობს-რა მაზრის ალმასრულებელ კომიტეტთან, მოქმედობს ამა დებულებაში აღნიშნული წესების თანახმად.

**შენიშვნა.** ტფილისის ალმასკომის აღმინისტრატიული განყოფილება მოქმედობს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

2. სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოს მოქმედების ძირითად საგანს შეადგენს:

ა) განახორციელოს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანიზაციების აღმინისტრატიული ხასიათის დადგენილებანი და განკარგულებანი,

თვალყური ადევნოს, რათა მოსახლეობამ, ყველა დაწესებულებამ და ორგანიზაციამ დაიცას აღნიშნული დადგენილებანი და მიიღოს ლონისძიბება მათი შესრულებისათვის;

ბ) დაიცას რევოლუციონური წესრიგი და საზოგადოებრივი უშიშროება;

გ) ეპრძოლოს დანაშაულებრიობას მისთვის მინიჭებული უფლების ფარგლებში;

დ) განახორციელოს ლონისძიბანი მილიციის რიგების შევსებისა, მისი სწავლებისა და მომარაგებისათვის;

ე) გაუწიოს ხელმძღვანელობა მილიციის ქვედებარე ორგანოებისა, სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციისა და საუწყებო მილიციის მუშაობას, თვალყური ადევნოს მათი აპარატის წესიერად მოწყობას და გადასწყვიტოს მათ მოქმედებაზე შეტანილი სჩივრები;

ვ) აღმოჩინოს დახმარება ხელისუფლების სხვა ორგანოთ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა იმულებითი ლონისძიების მიღება.

## პ ა რ ი 11.

### სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოს ხორუქორა.

3. სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოს სათავეში სდგას უფროსი, რომელსაც დანიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი სათანადო მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმის წარდგენით; სამმართველოს უფროსი ემორჩილება მაზრის აღმასკომს და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატს.

4. სამაზრო-საქალაქო მილიციის სამმართველოსთან დაარსებულია სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის განყოფილება. განყოფილების სათავეში სდგას უფროსი, რომელიც იმავე დროს არის სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის თანაშემწევ; მას თანამდებობაზე დანიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, სათანადო მაზრის აღმასკომის წარდგენით.

**შენიშვნა.** უკეთუ მაზრის აღმასკომს არ ჰყავს შესაფერი კანდიდატი სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსის ან მისი თანაშემწის თანამდებობაზე ან უკეთუ თავისი კანდიდატი მან არ წარადგინა ორი კიორის განმავლობაში დღიდინ ვაკანსიის განთავისუფლებისა, სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსს და მის თანაშემწეს დანიშნავს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

5. მილიციისა და სისხლის სამართლის მაძიებელი მილიციის მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს სამაზრო-საქალაქო მილიციის უფროსი.

6. სამაზრო საქალაქო მილიციის სამმართველოსთან მაზრის აღმასკომის დადგენილებით დაარსდება სამსამართო ბიურო ან მაგიდა, რომელიც მოქმედობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ სამისამართო ბიუროებისათვის დამტკიცებული დებულების თანახმად.

## გ ა რ ი III.

სამაზრო-საქალაქო მილიციის სამშართველოს ფუნქციები.

7. სამაზრო-საქალაქო მილიციის სამშართველოს დაეკისრება:
- ა) ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა შესასრულებლად ლონისძიების მიღება;
- ბ) მაზრის აღმასკომის პრეზიდიუმში აღმინისტრატიული საქითხების შესახებ სავალდებულო დადგენილებათა პროექტების შეტანა;
- გ) მაზრის აღმასკომის სავალდებულო დადგენილებების შესრულებისათვის ზედამხედველობის გაწევა და მათ დამრღვევთა პასუხისებაში მიცემა;
- დ) შინაგან საქმეთა სახალხო კოსისარიატის ან მაზრის აღმასკომის დავალებით აღმინისტრატიული მოქვლევების წარმოება და ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ყველა სხვა დავალების შესრულება;
- ე) აღმინისტრატიული დახმარების აღმოჩენა სხვა უწყებებისათვის კანონით დაწესებული გადასახადისა და გამოსახლების გადახდევინების საქმეში;
- ვ) უცხოელთა აღნუსხვა და რეგისტრაცია;
- ზ) განცხადებების მიღება ოპტაციისა და რეპატრიაციის შესახებ, საქართველოს სსრეპ. მოქალაქედ უცხოელის მიღების შესახებ, საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლის შესახებ, აგრეთვე საუცხოეთო პასპორტის გაცემისა და საზღვარგარედ წასელისათვის ნებარვის მიცემის შესახებ;
- თ) დანაშაულებრივი და სოციალურად საშიში ელემენტების აღნუსხვა;
- ი) საქმის აღძრა სოციალურად მავნე ელემენტების გადასახლების შესახებ აღმინისტრატიული წესით;
- კ) ლონისძიებათა გატარება სტიქიური უბედურების თავიდან აცდენისათვის და ლიკიდაციისათვის;
- ლ) ხელმძღვანელობის გაწევა აქტალულ უბაქო გაჭრობისთან ბრძოლისათვის და თვალყურის დევნება საგაჭრო წესების შესრულებისათვის, როდესაც ეს მოვალეობა მილიციის განსაკუთრებულად დაკისრებული აქს კანონით ან მთავრობის განკარგულებით;
- მ) დასახლებული ადგილების, საზოგადო სარგებლობისა და სავაჭრო ადგილების სანიტარული მდგომარეობისათვის თვალყურის დევნება;
- ნ) მაზრის ფარგლებში მდებარე ქალაქებსა და სოფლებში საზოგადო სარგებლობის ადგილების გარეგანი დაცვა და ქუჩებში მოძრაობის წესრიგის უზრუნველყოფა;
- ო) მილიციის მომუშავეთა თათბირის მოწევევა;
- პ) ქვემდებარე ორგანოთა პირადი შედგენილობის აღნუსხვა და მათი მუშაობისათვის თვალყურის დევნება;
- ჟ) ქვემდებარე ორგანოთა მუშაობის შესახებ ცნობების აღრიცხვა და სისტემატიზაცია ამ მუშაობისათვის გეგმაშეწონილი გეზის მისაცემად;
- რ) მაზრის აღმასრულებელი კომიტეტისა და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისათვის ანგარიშების და მასალების წარდგენა მილიციის სამშარ-

თველოსი და მის ქვემდებარე ორგანოთა მუშაობის მდგომარეობისა და შედეგების შესახებ;

ს) გაზრის ფარგლებში სამილიციონ სამსახურის შესრულებისათვის თვალ-  
ყურის დენება და მილიციის ქვემდებარე ორგანოთათვის ხელმძღვანელობისა  
და ინსტრუქტორის გაწევა;

ტ) ოონისძიების მიღება მიღიცის შედგენილობის შერჩევა-შევსებისათვის, მიღიცის მომარავების საქმის გაუმჯობესებისათვის და აგრეთვე მიღიცის მომუშავეთა შორის კულტურულ და პოლიტიკანანათლებელ ოონისძიებათა ჯიშის დაწესებისათვის;

უ) მშრომელთა ორგანიზაციებისათვის დახმარების აღმოჩენა მანიფესტა-  
ციისა, პროცესიისა, კრებისა და სხვ. მოწყობის საქმეში და მანიფესტაციისა,  
პროცესიისა, კრებისა, სანახაობისა და სხვათა მოსაწყობად ნებართვის მიცემა  
იმ პირთა და ორგანიზაციებისათვის, ვისთვისაც ასეთი ნებართვის მიღება სა-  
ჭალდებულოა;

ფ) ყრილობისა, თათბირისა და კრების მოწვევისათვის ნებართვის გაცემა  
იმ შემთხვევაში და იმ წესით, როც კანონითაა გათვალისწინებული;

ქ) შტამპებისა და ბეჭედების დასამზადებლად ნებართვის მიცემა კულება იმ პირისა და დაწესებულებისათვის, ვისაც საამისო უფლება აქვს, და ოვით დამზადებისათვის კონტროლის გაწევა;

ღ) ვინაობის მოწმობების გაცემა და ამ პირთა სამისამართო მაგიდებში და ბიუროებში ჩაწერისა და ონლაინ-გვერდის მოწესრიგება;

ე) სანაღირო იარაღის შენახვისა და სარგებლობისათვის ნებართვის გაცემა საამისო არსებული კანონის თანახმად.

8) Տաճաշրության մոլուցու և սամահության մոլուցու օրը պատճենաբառությունը կազմված է այսպիսի մասնակիությունների մուտքագրության ժամանակակից պատճենաբառությունում:

44. დადგენილება № 32 ც. ს. ქ. დას. ქ. ს.

ხისხლის სამართლის კოდიქსისათვის 102<sup>5</sup> მუხ. დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II მოწვევის ცენტრალური ორგანიზაციელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წლ. მარტის 10 თარიღისა და 77 ნომრის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო დადგენერაცია:

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსს დაე-  
მატოს 102<sup>o</sup> მუხ. შემდეგი შინაარსისა:

მუხ. 102<sup>o</sup>. ზღვის სელაპებისა და ზღვის თახვების რეწვა გაშლილ ზღვაზე,  
ხოლო ზღვის სელაპების რეწვა ზღვის სანაპირო სამშილიანი ზოლის ფარგლებ-  
შიაც, აგრეთვე ზღვის სელაპებისა და ზღვის თახვების აქრძალული რეწვა ხე-  
ლეთზე, ხოლო ზღვის თახვების აქრძალული რეწვა ზღვის სანაპირო სამშილიანი  
ზოლის ფარგლიბშიაც გამოიწვევს.

თავისუფლების აღვეთას ერთ წლამდე ან ჯარიმას ხუთას მანეთა-  
მდე, უკანონოდ მონაპოვარისა, რეწვის იარაღისა და ნავჭურჭლის კონფის-  
კაციით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაგა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმა-

სრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრიგა.

1927 წ. მარტის 10.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს მე-64 წ.-ში 1927 წ. მარტის 23.

#### 45. დადგენილება № 33 ც. პ. პ. და ს. პ. ს.

ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოს დე-  
ბულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოლებულ იქნეს ამასთანავე დართული  
დებულება ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების სა-  
ბჭოს შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომი-  
ტეტი ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოლებულ იქნეს ამასთანავე დართული  
დებულება ტფილისის მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების სა-  
ბჭოს შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური

აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრიგა.

1927 წ. მარტის 15.

ტფილისი—სასახლე.

## დებულება

ტფილისის ქალაქის შუშათა, გლეხთა და წითელარჩიელთა დეპუტატების ხა-  
ბეჭოს შესახებ.

თ ა ვ ი ს.

## ზოგადი დებულებანი.

ტფილისის ქალაქის საბჭოს რეგანიზაცია და მოქმედების ძირითადი  
მიზნები.

1. ტფილისის ქალაქის საბჭო, თავის გამგებლობის სფეროში, არის ხელის-  
უფლების უმაღლესი ორგანო ქ. ტფილისის ტერიტორიაზე და იერთიანებს  
მთლად მშრომელ მოსახლეობას, ადგილობრივ და სახელმწიფო ბრივ გამგებლო-  
ბასა და აღმშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

2. ტფილისის საბჭოს არჩევნებში მონაწილეობს, საქართველოს სსრ კონ-  
სტიტუციის თანახმად, საარჩევნო უფლებით აღჭურვილი ყოველი მოქალაქე.  
არჩევნები სწარმოებს სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულე-  
ბელ კომიტეტის მიერ მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა საბჭოების არჩე-  
ვნებისათვის გამოცემულ ინსტრუქციის თანახმად.

3. ტფილისის საბჭო აირჩევა იმ ანგარიშით, რომ 200 ამომრჩეველზე მო-  
დიოდეს ერთი დეპუტატი.

4. ტფილისის საბჭო აირჩევა ერთი წლის ვადით.

5. ტფილისის საბჭოს მიზანს შეადგენს:

ა) ქალაქის მოსახლეობის სამეცნიერო და ქულტურული მდგომარეობის  
წარმატება და მისი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება;

ბ) საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დადგენილების განხო-  
რციელება;

გ) ნაციონალური პოლიტიკის განხორციელება და ქალაქის ტერიტორიაზე  
მოსახლე ეროვნებათა საგიროების ყოველმხრივი დაკმაყოფილება;

დ) საბჭოს კულტურული გენდერებარე დაწესებულებისა და საწარმოს მოქმედების  
გაერთიანება და ხელმძღვანელობა;

ე) ქალაქის ფარგლებში რევოლუციონური წესრიგისა, მშენილობიანობისა  
და საზოგადოებრივი უშიშროების უზრუნველყოფა და დაცვა;

ვ) საერთო სახელმწიფოებრივი საკითხების განხილვა როგორც პირადი  
თაოსნობით, ისე უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტების წინადადებით;

გ) ქალაქის ბიუჯეტის შედეგები, განხილვა, დამტკიცება და აღსრულება,  
აგრეთვე მისი შესრულების ანგარიშის დამტკიცება.

6. ტფილისის საბჭო პასუხისმგებელია ტფილისის საბჭოთა ყრილობისა  
და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

**შენინვნა.** უკეთუ ტფილისის საბჭო არ დაეთანხმება ტფილისის აღ-  
მასრულებელ კომიტეტის დადგენილებას, მას უფლება აქვს საკითხი სრუ-  
ლიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს გადასცეს,  
ისე-კი რომ დადგენილების შესრულება არ შეაჩეროს.

## თავი II.

## ფუნდისის საბჭოს აღმასრულებელი ორგანოები.

7. ქალაქის საბჭოს მუშაობის წარმართვისა და ქალაქის მეურნეობის გამ-  
გებლობისათვის ტფილისის საბჭო თავისი შედგენილობიდან აირჩევს პრეზიდი-  
უმს,—ხოლო მის შედგენილობაში ტფილისის საბჭოს თავმჯდომარეს. პრეზიდი-  
უმი თავის წრეში აირჩევს თავმჯდომარის მოადგილს და ტფილისის საბჭოს  
მდივანს.

**შენიშვნა.** ტფილისის საბჭო დაუსახელებს თავის პრეზიდიუმს ტფი-  
ლისის საბჭოთ ყრილობას ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმად.

8. ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი, ტფილისის საბჭოს ერთი პლენარულ  
სხდომიდან მეორე პლენარულ სხდომამდე, არის ქალაქის ტერიტორიაზე ხელის-  
უფლების უმაღლესი ორგანო და მომქმედ კანონის ფარგლებში განახორციელებს  
ყველა ღონისძიებას ტფილისის საბჭოს სახელით.

9. ტფილისის საბჭო არ მოაწყობს თავის განყოფილებებს და თავის ღო-  
ნისძიებათ განახორციელებს ტფილისის აღმასკომის მეშვეობით.

10. ტფილისის საბჭო დაასახელებს განყოფილებათა გამგეებს და წარუდგენს  
მათ ტფილისის აღმასკომს დასამტკიცებლად.

11. ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი თავის მოქმედების ანგარიშს წარუდ-  
გენს ქალაქის საბჭოს პლენუმს ყოველ ნახევარ-წელიწადში ერთხელ მაინც.

## თავი III.

## ფუნდისის საბჭოს გამგებლობის საგნები.

12. ქალაქის მოსახლეობასთან ტფილისის საბჭოს განუწყვეტელი კავშირი  
აქვს, გამოდის ამომრჩეველთა კრებებზე მოხსენებებით თავის მუშაობის შესახებ,  
სკოლობს მონაწილეობა მიაღებინოს მათ საბჭოს წინაშე აღძრული საკითხების  
განხილვაში და სექტიებისა და კომისიების მეშვეობით ჩააბას ისინი საბჭოს პრა-  
ქტიულ საქმიანობაში.

13. საერთო გამგებლობის სფეროში ტფილისის საბჭოზე დაკისრებულ ამო-  
ცანათა განსახორციელებლად ტფილისის საბჭოს უფლება აქვს:

ა) უშუალო ურთიერთი მიმართვა იქნიოს საქართველოს სსრ ცენტრალურ  
დაწესებულებებთან იმ ღონისძიებათა შესახებ, რასაც ცენტრალური ხელისუფ-  
ლება მიიღებს და ქ. ტფილისს ეხება;

ბ) აღძრის სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტისა და სახალ-  
ხო კომისართა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა—ხელისუფლების ცენტრალური  
ორგანოების დადგენილებათა და განკარგულებათა შეცვლის შესახებ ქალ. ტფი-  
ლისის მიმართ;

გ) შეაჩეროს, ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის—სასამართლოს წესისამებრ—  
კოლექტური პასუხისმგებლობით სახალხო კომისარიატების განკარგულებათა  
განხორციელება, უკეთუ ესა თუ ის განკარგულება არ შეესაბამება უმაღლეს  
ორგანოთა დადგენილებებს.

**შენიშვნა.** ასეთი განკარგულების შეჩერებას და თავის მოსაზრებას მისი გაუქმების შესახებ ტფილისის საბჭო ან მისი პრეზიდიუმი აცნობებს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს 24 საათის განმავლობაში განკარგულების შეჩერების მომენტიდან.

დ) გამოსცეს სავალდებულო დადგენილებანი არსებული კანონების საფუძველზე;

ე) დაადგას აღმინისტრატიული გადასახდელი ამ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვეის;

ვ) აღმრას, მისთვის მინიჭებული უფლებათა ფარგლებში, დისკიპლინალური დევნა ქ. ტფილისის ტერიტორიაზე მოქმედ თანამდებობის პირთა წინააღმდეგ და აგრეთვე დაადგას მათ აღმინისტრატიული გადასახდელი;

გ) კონტროლი გაუწიოს ქალაქის საბჭოს არაქვემდებარე საწარმოთ და დაწესებულებათ, ისე-კი რომ რომ მათ მუშაობაში არ ჩაერიოს, აღმოუჩინოს მათ შესაძლებელი დახმარება და აღნიშნულ ორგანოებსა და დაწესებულებებში შემჩნეული უკანონო და მიზანშეუწონელი მოქმედება აცნობოს სათანადო ცენტრალურ თრგაონის;

ი) მოაწყოს საარჩევნო კომისიები ტფილისის საბჭოს ასარჩევად, დაადგინოს წესი არჩევნების ჩატარებისა და განსაზღვროს საარჩევნო რაოინი ამ საგანზე ხელისუფლების უმაღლეს თრგაონთა მიერ გამოცემულ დადგენილებებისა და ინსტრუქციების თანახმად;

თ) მეთვალყურეობა გაუწიოს ქ. ტფილისის ტერიტორიაზე არჩევნების წარმოებას;

კ) განიხილოს საჩივრები არჩევნების უკანონოდ წარმოების შესახებ და კანონის მიერ გათვალისწინებულ სათანადო შემთხვევაში გააუქმოს არჩევნები;

ლ) მიიღოს ლონისძიება სტიქიურ უბედურებათა (წყალდიღობა, ხანძარი და სხვა) ასაკილებლად, მოაწყოს მათთან ბრძოლა და დაზარალებულთათვის დახმარება;

მ) აწარმოოს სამოქალაქო მდგომარეობის აქტების რეგისტრაცია;

ნ) მიიღოს, წარმართოს და სათანადო შემთხვევაში განიხილოს საჩივრები ყველა დაწესებულებათა, თანამდებობის პირთა და კერძო მოქალაქეთა მოქმედების გამო;

ო) მეთვალყურეობა გაუწიოს ეკლესიის სახელმწიფოსაგან და სკოლის ეკლესიისაგან ჩამოშორების დეკრეტის განხორციელებას;

პ) განავის მორჩმუნეთა ორგანიზაციებისათვის ხელშეკრულებით კულტის შენობათა და კულტის მიზნებისათვის გამოსადევი სხვა ქონების გადაცემის საქმე, გაუწიოს საერთო მეთვალყურეობა ამ ხელშეკრულებათა შესრულებასა და რელიგიურ საზოგადოებათა მოქმედებას ქ. ტფილისის ფარგლებში;

ჟ) ისარგებლოს იურიდიული პირის უფლებანი.

14. რევოლუციონური წესრიგისა, საზოგადოებრივი შშვადობიანობისა და უშიშროების დაცვისათვის, კონტრ-რევოლუციისათან, ბანდიტიშოთან და მავნე ელემენტებთან ბრძოლისათვის ტფილისის საბჭოს დაეკისრება:

ა) იმოქმედოს საამისოდ ყველა იმ ხერხით, რაც მის განკარგულებაშია, საკიროების დროს მიმართოს, სპეციალური მომქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამხედრო ნაწილთა შეიარაღებულ ძალას;

ბ) მიიღოს აღმეცვეთი ღონისძიებანი ბრძოლმომქმედთა წინააღმდეგ და საკიროების დროს მოახდინოს სათანადო ორგანოების მეშვეობით ჩხრეკა, ამორკვევა, დაპატიმრება და სხვა;

გ) წარუდგინოს მოხსენება სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტს, მის პრეზიდიუმს და სახალხო კომისართა საბჭოს, თანახმად არსებული კანონებისა საგანგებო წესების შემოღების შესახებ ქ. ტფილისის ტერიტორიაზე რევოლუციონური წესრიგის დაცვისათვის და ამ წესების გაუქმების შესახებ;

(დ) ხელი შეუწყოს მილიციისა და სისხლის სამართლის მილიციის მდგომარეობის გაუმჯობესებას;

ე) მეთვალყურეობა გაუწიოს ტფილისის ტერიტორიაზე არსებულ საპატიმრო აღილებს;

ვ) ნება დართოს ან აკრძალოს კრებები, თათბირები და კონფერენციები ქ. ტფილისში;

ზ) მეთვალყურეობა გაუწიოს ბეჭდეით სიტყვას, გასართობებს და აგრეთვე იმ საზოგადოებათა მოღაწეობას, რომელნიც მოგების მიღებას არ მისდევს და საერთო წესით უნდა იყვნენ დამტკიცებული და რეგისტრაციაში გატარებული.

**შენიშვნა.** ამა მუხლის „ვ“ და „გ“ პუნქტებით გათვალისწინებული

წესები არ გავრცელდება პროფესიონალურ (წარმოებით) კაშირებზე, რომელთა რეგისტრაცია და მოქმედება მოწესრიგებულია შრომის კანონთა კოდექსის 151 – 167 მუხლებით.

15. სასამართლოს წყობილებისა და სამართლის წარმოების სფეროში:

ა) ტფილისის საბჭო მიიღებს ღონისძიებას სასამართლოს დაწესებულებათა ბინით და მუშაობისათვის საჭირო ფინანსიური და მატერიალური საშუალებით უზრუნველსაყოფად;

ბ) აირჩევს და გაიწვევს სახალხო მოსამართლებს ქ. ტფილისში საქართველოს სსრ სასამართლოს წყობილების დებულების თანახმად;

გ) ხელს შეუწყობს კონსელტაციის მოწყობას მოსახლეობისათვის იურიდიული დახმარების აღმოსაჩენად;

16. საფინანსო და საგადასახადო სფეროში ტფილისის საბჭო:

ა) შეადგინს, განიხილავს, დაამტკიცებს და განახორციელებს ქ. ტფილისის ბიუჯეტს;

ბ) მეთვალყურეობას გაუწევს ტფილისის ტერიტორიაზე სახელმწიფო გადასახადთა და გამოსაღებთა წესიერად გაწერას და მიიღებს ღონისძიებას, რათა ეს გადასახადები და გამოსაღები შეტანილ იქნეს სახელმწიფო შემოსავალში;

გ) დაწესებს და გადასახდებინებს საქალაქო გადასახადებსა და გამოსაღებს მოქმედი კანონით დაწესებული წესითა და ფარგლებში;

დ) დაწესებს კანონის თანახმად ქალაქის საჭიროებისათვის ძირითად საერთო-სახელმწიფო გადასახატების ზედნართებს;

ე) იშუამდგომლებს, რათა დაწესებულ იქნეს ახალი გადასახადი და გამოსალები და აგრეთვე გადადებულ იქნეს ქილაქის ბიუჯეტში სათანადო ანარიცები სახელმწიფო გადასახადებისა და სხვა შემოსავლისა;

3) მოაწყობს საკრედიტო და ფულის გამსესხებელ დაწესებულებებს;

ზ) აიღებს არსებული კონკრეტული ქანონების თანახმად თამასტებით და სხვაგვარი გრძელვადიანი ან მოკლევადიანი ვალდებულებით სესხს სახელმწიფო, კოოპერა- ტიულ და კერძო დაწესებულებაში, აგრეთვე კერძო პირთავანაც როგორც სსრკ ში, ისე საზოგადოებრივ, რისთვი საც მას აქვს საამისო უფლება;

თ) მოისმენს ანგარიშებს და განაცხადებს პროტესტს ქალაქის ტერიტო-  
რიაზე მყოფ არა მის ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა ხარჯო-აღ-  
რიცხვებისა და საწარმოთა გეგმების გამო, რისთვისაც მას აქვს საამისო უფლება.

**შენაბუნა.** ეს უფლება ვერ შეაჩირებს ხარჯთ-აღრიცხვების არსებობის წესით მსვლელობას.

17. ტფილისის საბჭოს უფლება აქვს გადაიტანოს აღვილობრივი ბიუჯეტის კრედიტები ქალაქის ბიუჯეტის ერთი მუხლიდან მეორე მუხლში ერთი და იმავე პარაგრაფის ფარგლებში; უკეთუ საჭირო იქნება დამტკიცებულ ბიუჯეტში ოსებითი ცვლილების შეტანა, საკითხი უნდა გადაწყდეს დამატებითი ხარჯთ-აორიკების შედეგით.

18. სამეცნიერო-კულტორული და სამრეწველო სფეროში ტექნიკის საბჭო:

ა) ეწევა თავის ქვემდებარე საწარმოთა ექსპლოატაციას უშუალოდ, იჯარად გაცემით და კანონის მიერ დაწესებული სხვა სახით, იჯარით გაცემისას თვალყურს ადგენებს, რათა მოიჯარაღრებმა საიჯარო ხელშეკრულებების ყველა პირობები პირნაზორის შეასრულონ;

ბ) აწყობს ახალ საეპირო და სამრეწველო ხასიათის საწარმოთ;

გ) განაგებს უმაღლესი ორგანოების ქვემდებარე საჭარმოთ მათი შინდობილობით;

დ) კონტროლს უწევს არა ქალაქის საბჭოს ქვემდებარე საწარმოთ და დაწესებულებათ, ეხმარება მათ შესაძლებლობის ფარგლებში, ხოლო უფლება არა აქვს ჩაერიცოს მათ მუშაობაში;

ე) ხელს უწყობს ქალაქში ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას და აწყობრივებს მათ არსებოლი კანონის თანახმად;

3) ყოველგვარ დახმარებას უწევს ყველა სახის კოოპერაციას.

19. კომუნალური მეურნეობის სფეროში, ამა დებულების მე-16 და 18 მოხსენებში ორი შეზღუდული კიბების გარდა, ტრიალისის საბჭო:

ა) მიმოებს ონისტიებას ქალაქის კითილმოწყობისათვის;

ბ) მოაწყობს და განვითარებს ქალაქის სატელიტო და სამგზავრო ტრანსპორტს:

გ) განაგებს ელექტრონის საღგურებს, ტრამვაის, წყალსაღენს, კანალიზაციას და სხვა საზოგადოებრივი სარგებლობის საწირმო;

დ) მიიღებს ლონისძიებას კომუნალური ოლმშენებლობის განსავითარებლადად, კერძოდ, საცხოვრებელი ბინების ასაშენებლად. მოაწესრიგებს საბინაო საკითხს და განაცებს, მომქმედი კანონების თანახმად, საბინაო სიურცის სარგებლობის საქმეს;

ე) მოაწყობს კომუნალურ კრედიტს—სპეციალური საქალაქო ბანკების და-არსებით და მონაწილეობას მიიღებს სხვა ბანკებში.

20. სასოფლო-სამეურნეო სფეროში ტფილისის საბჭო:

ა) განაცებს ქალაქის მიწების ექსპლოატაციას და მათი იჯარით გაცემას;

ბ) განსაზღვრავს, არსებული კანონების თანახმად, საქალაქო საადგილ-მაცმულო რენტის განაცევის და მიიღებს ლონისძიებას ამ რენტის გადასახდევინებლად;

გ) აწარმოებს საქირო სამუშაოს ქალაქის ფარგლის მოსავარებლად, მელიორაციის მოსაწყობად, ქალაქის დასაგეგმად, მიწის ნაკვეთების სააღნაგო და სასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყენებისათვის გასაცემად;

დ) მიიღებს ლონისძიებას ქალაქის ფარგლებში სატყეო მეურნეობის მოსაწყობად და განსავითარებლად;

ე) ხელს შეუწყობს ქალაქის ფარგლებში მებალეობისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურის განვითარებას;

ვ) მოაწყობს სავეტერინარო დამსარებას.

21. შრომის დაცვისა და მოწესრიგების საქმეში ტფილისის საბჭო:

ა) მეთვალყურეობას გაუწევს სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კერძო საწარმოთა მიერ შრომის დაცვისა და ხელფასის შესახებ არსებულ კანონებისა, წესებისა, კოლეგიური და შრომითი ხელშეკრულებების შესრულებას.

ბ) მოაწესრიგებს მომქმედი კანონების ფარგლებში შრომის ბაზრის საქმეს, მიიღებს ლონისძიებას უძუშევრობასთან საბრძოლველად, რისოვისაც შრომის სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით გახსნის შრომის ბირეებს და საკორესპონდენტო პუნქტებს და მოაწყობს საზოგადოებრივ სამუშაოებსა და საკეთ პუნქტებს;

გ) განახორციელებს სასანიტარო-სატეხნიკო ლონისძიებათ და ამით გააუმჯობესს მუშაობის პირობებს დაწესებულებებსა და საწარმოში;

დ) ოვალურს ადვინდებს, რათა განხორციელებულ იქნეს სოციალური დაზღვევის კანონმდებლობა და დაცულ იქნეს სოციალური დაზღვევის წესები.

**შენიშვნა.** აღნიშნულ უფლებას ტფილისის საბჭო განახორციელებს შრომის კომისარიატის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

22. სახალხო ჯანმრთელობის სფეროში ტფილისის საბჭო:

ა) მოაწყობს და განაცებს ქალაქის მცხოვრებთა სამკურნალო და სამკურნალო-პროფესიალურ (წინასწარ გამაფრთხილებელ) დამსარებას;

ბ) აწარმოებს ბრძოლას გადამდებ სოციალურ და პროფესიონალურ ავადმყოფობათა წინააღმდეგ და წინასწარ ლონისძიებას მიიღებს მათი გავრცელების თავიდან ასაცილებლად;

გ) გაუწევს ყოველგვარ დახმარებას უმაღლეს ორგანოებს სამკურნალო ლონისძიებათა განხორციელების საქმეში, კერძოდ დახმარება ქალაქის ტერი-ტორიაზე მომქმედ ამ ორგანოების ყველა სამკურნალო და სასანიტარო-პროფი-ლაქტურ დაწესებულებას;

დ) მოაწყობს ქალაქის ფარგლებში სასანიტარო ზედამხედველობას;

ე) მოაწყობს და განახორციელებს სანიტარულ და პროფილაქტურ ლო-ნისძიებათ ქალაქის გასაჯანსაღებლად;

ვ) ხელს შეუწყობს მცხოვრებთა ფიზიკურად განვითარების საქმეს;

ზ) ხელს შეუწყობს დედათა, ბავშვთა და ძუძუმწოვართა დაცვის საქმის განვითარებას;

თ) მოაწყობს და განაგებს საბაზშვი ბაგას, მოედანს და სხვ.

23. სოციალური უზრუნველყოფის სფეროში ტფილისის საბჭო:

ა) დახმარებას გაუწევს ფრონტზე ან სამსახურის მოვალეობის ასრულე-ბის დროს დალუპულ წითელარმიელთა გაჭირებულ ოჯახებს განსაკუთრებით იმათ, რომელთაც არა ჰყავთ შრომის უნარიანი წევრი და არა აქვთ მეურნეო-ბისა ან სარეწაოს შემოსავალი;

ბ) ხელს უწყობს ინვალიდთა კოოპერაციის მოწყობის საქმეს;

გ) ხელს შეუწყობს საქალაქო ურთიერთი დამმარების საზოგადოებათა და დახმარების საზოგადოებათა მოწყობის საქმეს;

დ) მოაწყობს ქალაქში მცხოვრებ ომისა და შრომის ინვალიდთა, მათ ოჯახთა და აგრესულ მოხუცთა შრომის უნარდაკარგულთა უზრუნველყოფის საქმეს;

ე) მოაწყობს და ინახავს ინვალიდთა სახლებს.

შენიშვნა. ამ უფლებას ტფილისის საბჭო განახორციელებს სოცია-ლური უზრუნველყოფის ადგილობრივი ორგანოების მეშვეობით.

24. კულტურულ-საგანმანათლებლო სფეროში ტფილისის საბჭო:

ა) მიიღებს ყოველგვარ ლონისძიებას ქალაქის მცხოვრებთა კულტურული და პოლიტიკური შეგნების განვითარებისათვის, რისთვისაც მოაწყობს და შეი-ნახავს საერთო ხასიათისა და სპეციალურ სასწავლებლებს, კურსებს, კლუბებს, საწყითხელოებს, წიგნთსაცავებს, მუზეუმებს, თეატრებს და სხვა პოლიტიკურ-განმანათლებელ დაწესებულებებს;

ბ) აწარმოებს ბრძოლას ბავშვთა უპატრონობასთან, დახმარებას გაუწევს უპატრონო ბავშვებს, მოაწყობს და შენახავს საბაზშო სახლებს და ბალებს;

გ) აწარმოებს ხელოვნებისა, ძველის დროისა, ყოფაცხოვრებისა, კულტუ-რისა და ბუნების ძეგლთა და საგანთა აღნუსხევისა და დაცვის საქმეს;

დ) ხელს შეუწყობს მეცნიერულ და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგა-ნიზაციებისა და დაწესებულებების განვითარებას.

25. სამხედრო სფეროში ტფილისის საბჭო:

ა) განახორციელებს ლონისძიებათ ჯარის ერთეულების საბინადროდ გა-ნაწილებისათვის და, ასებულ კანონების ფარგლებში, ზრუნავს კომუნალური მომსახურეობით მათი უზრუნველყოფისათვის;

ბ) ხელს შეუწყობს სამხედრო უწყების ლონისძიებათა განხორციელებას.

თ ა ვ ი IV.

ტუილისის საბჭოს პლენუმის მუშაობა.

26. ტუილისის საბჭოს ახალი შედეგნილობის პლენუმი აირჩევს პრეზიდიუმს, საბჭოს თავმჯდომარეს, სამანდატო კომისიას და მოისმენს საარჩევნო კომისიის ანგარიშს ქალაქის საბჭოს არჩევნების შესახებ.

27. შემდეგში ტუილისის საბჭოს პლენუმის სხდომას მოიწვევს მისი პრეზიდიუმი. ტუილისის საბჭოს პლენუმის მორიგი სხდომა მოხდება ოვეში ერთ-ხელ მაინც.

**შენიშვნა.** ტუილისის საბჭოს პლენუმის საგანგებო სხდომა მოიწვევა საბჭოს პრეზიდიუმის შეხედულებისამებრ ან საბჭოს წევრთა მოთხოვნით, რისთვისაც საჭიროა წევრთა საერთო რიცხვის 1/3 მაინც.

28. ტუილისის საბჭოს პლენუმის სხდომები უნდა მოეწყოს ხოლმე შეძლებისადაცვარად მშრომელი მასწინი სიახლოების: ფაბრიკებში, ქარხნებში, პროფესიონალურ კავშირთა კლუბებში და სხვ. საბჭოს სხდომის ადგილი, დრო და დღის წესრიგი უნდა გამოქვეყნდეს პრესაში 2 დღით ადრე მაინც.

29. ტუილისის საბჭოს პლენუმის სხდომაზე გადამწყვეტი ხმის უფლება აქვთ მხოლოდ წევრებს, კანდიდატებს-კი სათათბირო ხმის უფლება.

ტუილისის საბჭოს სხდომებში მონაწილეობის მისაღებად შეიძლება მიწვეულ იქნეს სათათბირო ხმის უფლებით არა წევრიც, ხოლო ისეთი პირი, რომელიც ქალაქის საქმეზე მუშაობს და აგრეთვე, ფაქტური შესაძლებლობისადაცვარად საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივი კომიტეტებისა, პროფესიონალური კავშირებისა, წითელი არმიისა, ქალთა სადელეგატო კრებისა, მშრომელთა ჯგუფებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები და წარმომადგენლები სათათბირო ხმით.

30. ტუილისის საბჭოს პლენუმი:

ა) დაამტკიცებს ქალაქის ბიუჯეტს, სესხის აღებას და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშს;

ბ) მოისმენს მოხსენებებს ადგილობრივი მეურნეობისა და გამგებლობის საკითხების შესახებ;

გ) განიხილავს სათანადო დაწესებულებისა და პირის მოხსენებასა და ანგარიშს ყოველი დარგის მუშაობის შესახებ, რაც-კი ქალაქად სწარმოებს;

დ) განსაზღვრავს სექციების რიცხვსა და გამგებლობის საგნებს;

ე) განიხილავს სექციების მოქმედების გეგმას და მოისმენს მათ მუშაობის ანგარიშს;

ვ) განიხილავს პლენუმის მუშაობის გეგმას;

გ) მოისმენს და დაამტკიცებს თავისი პრეზიდიუმის ანგარიშს;

თ) აირჩევს დელეგატებს საბჭოთა ყრილობაზე;

ი) მოისმენს სამანდატო კომისიის მოხსენებას და დაამტკიცებს დეპუტატთა რწმუნებამოსილებას;

კ) განიხილავს საბჭოთა ადგილობრივი აღმშენებლობის ყველა სხვა საკითხს.

31. 30 მუხლში ჩამოთვლილი საკითხების გარდა, ტფილისის საბჭოს პლენუმს შეუძლიან განიხილოს, როგორც საკუთარი თაოსნობით, ისე ზემდგომი აღმასრულებელი კომიტეტის წინადადებით, ყველა საერთო-სახელმწიფო აღმშენებლობისა და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხი.

რათა დეპუტატები წინასწარ გაეცნონ საბჭოს პლენუმის მორიგ სხდომაზე განსახილებელ უძლებელი მნიშვნელობის საკითხებს, საჭირო მასალები თავის დროზე დაეგზავნებათ საბჭოს წევრებს ან გამოქვეყნდება პრესაში.

32. ტფილისის საბჭოს პლენუმის სხდომა კანონიერ სხდომად ჩაითვლება, უკეთ მას დაესწრო საბჭოს წევრთა საერთო რიცხვების ნახევარი მაინც.

**შენიშვნა.** ეს ნორმა დაცულ უნდა იქნეს არა მარტო სხდომის გან-  
სნისას, არამედ მთლად სხდომის მუშაობის დროის განმავლობაში.

### თ ა ვ ი ს.

#### ტფილისის საბჭოს სექციები და კომისიები.

33. რათა ქალაქის საბჭოს და მისი ორგანოების პრაქტიკულ საქმიანო-  
ბაში ჩაბმულ იქნეს საბჭოს ყველა წევრი და აგრეთვე მშრომელთა ფართო  
მასა, ტფილისის საბჭო, მისი მეურნეობისა და გამგებლობის ცალკე დარგების  
მიხედვით, დაიყოფა სექციებად.

სექციათა რიცხვს და მათი მუშაობის საგანს განსაზღვრავს საბჭო.

ტფილისის საბჭოსათვის სავალდებულოა შემდეგი სექციების მოწყობა:

- კომუნალური-საბინაო;
- საფინანსო-საბიუჯეტო;
- სახალხო განათლებისა;
- სახალხო ჯანმრთელობისა.

საჭიროების მიხედვით საბჭოს შეუძლიან მოაწყოს სხვა სექციებიც როგო-  
რიც არის აღმინისტრატიული-უფლებრივი, მშრომისა, სავაჭრო-სამრეწველო, სო-  
ციალურ უზრუნველყოფისა, სამხედრო და სხვ.

34. საბჭოს წევრი ვალდებულია იმუშაოს საბჭოს ერთ-ერთ სექციაში თა-  
ვისი არჩევით.

35. საბჭოს წევრების გარდა, სექციის წევრად შეიძლება იყოს პროფესიო-  
ნალური კავშირისა, საფამილიური-საქართველო და ადგილობრივი კომიტეტებისა, დე-  
ლეგატთა კრებისა, მუშა-ქალებისა, წითელი არმიისა, ცალკე საზოგადოებრივი  
ორგანიზაციისა და მშრომელი მოსახლეობის ჯგუფის წარმომადგენლი, ხოლო  
პერსონალურად ყოველი მომუშავე, რომლის მონაწილეობაც სექციის მუშაობაში  
სასურველად იქნება მიჩნეული.

**შენიშვნა.** სექციის წევრად აუცილებლად უნდა იყოს ქალაქის სა-  
მუშაოს სათანადო დარგის მეთაური.

36. ტფილისის საბჭოს ან მის პრეზიდიუმს შეუძლიან ესა თუ ის დეპუ-  
ტატი დროებით გაანთვისისუფლოს სექციაში მუშაობისაგან.

37. სექტიის მუშაობაში ყველა წევრს აქვს გადამწყვეტი ხმის უფლება.

**შენიშვნა.** სექტიის ამა თუ იმ სხდომაზე მიწვეულს პირს, მაგ. ექსპერტს, მცირდნე პირს და სხვ. აქვს სათათბირო ხმის უფლება.

### 38. სექტია:

ა) განიხილავს მუშაობის გეგმას მეურნეობისა და გამგებლობის სათანადო დარგის მიხედვით;

ბ) მოისმენს სათანადო ორგანოების ანგარიშს და ამის შესახებ წარუდგენს დასკვნას პლენურს; ან მის პრეზიდიუმს;

გ) გაეცნობა დაწესებულებათა, საწარმოთა და სხვ. მუშაობას მეურნეობისა და გამგებლობის სათანადო დარგების მიხედვით;

დ) მიუჩენს სექტიის წევრებს ამა თუ იმ საწარმოსა, და დაწესებულებას, სათანადო დარგის მიხედვით, მუშაობისათვის მეთვალყურეობის გაწევისა და ხელისშეწყობის მიზნით;

ე) მოისმენს ბიუროს მოხსენებებს სექტიის გადაწყვეტილებათა და მუშაობის გეგმის შესრულების შესახებ;

ვ) გამოკიყოფს როგორც მუშაობი, ისე დროებით კომისიებს ტფილისის საბჭოს ქვემდებარე დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობის გამოსაკვლევად და ცალკე საკითხების დასამუშავებლად;

ზ) განიხილავს საბჭოს წევრთა პირადი ინიციატივით შეტანილ პროექტებს, რაც მისი მუშაობის დარგს შეეხება;

თ) განიხილავს სხევადასხვა დაწესებულებისა, ორგანიზაციისა და კერძო პირის მიერ შეტანილ ასეთსავე პროექტებს, რაც მისი მუშაობის დარგს შეეხება;

ი) მონაწილეობას მიიღებს სათანადო ორგანოების მუშაობის ძირითადი საკითხების გეგმებისა და პროექტების განსახილველად მოწვეული თათბირებსა და კონფერენციებში.

**შენიშვნა.** სექტიას უფლება არ აქვს უშუალოდ ჩაერიოს დაწესებულებისა, საწარმოს და თანამდებობის პირის მოქმედებაში და გაუქმოს ან შეაჩეროს მათი მოქმედება.

39. სექტიის დადგენილებას დაამტკიცებს და განახორციელებს ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

40. უკეთე სექტია არ დაეთანხმება პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას მას უფლება აქვს საკითხი განსახილველად საბჭოს პლენურს წარუდგინოს.

41. უაღრესი მნიშვნელობის საკითხს, რაც წინასწარ დამტავებას საჭიროებს, საბჭოს პრეზიდიუმი სათანადო სექტიას გადასცემს.

42. სექტია იქრიბება განსაზღვრულ ვადაზე, რასაც დაწესებს ტფილისის საბჭოს პლენური ან მისი პრეზიდიუმი და სექტიის ბიურო. სექტია თავისი წრიდან აირჩევს ბიუროს, რომლის რწმუნებამოსილებაც სექტიის რწმუნებამოსილების ვადას უდრის

43. ბიურო აირჩევს თავმჯდომარეს, მის მოადგილეს და სექტიის მდივანს.

**შენიშვნა.** ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების ხელმძღვანელი შეიძლება შედიოდეს ბიუროს შედგენილობაში, ხოლო სექციის თავმჯდომარედ კი არ შეიძლება იყოს.

44. ბიურო არის სექციის აღმასრულებელი და განმეორებულებელი ორგანო და იგი პასუხისმგებელია სექციის წინაშე. ბიურო ამზადებს სექციის პლენუმზე განსახილველ საკითხებს, აგრძელებს და სისტემაში მოჰყავს საჭირო მასალები, აღნუსხავს სექციებისა და მისი კომისიების წევრებს და აგრძელებს სხდომებზე მათ გამოცხადებას, შეადგენს სექციის მოქმედების ანგარიშს, წარმართავს დანიშნულებისამებრ სექციის დადგენილებას, თვალყურს ადევნებს მის შესრულებას, მონაწილეობას იღებს ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებში თავისი წარმომადგენლების მეშვეობით, რომელთაც ამ სხდომაზე სათაობირო ხმის უფლება აქვთ.

45. სექციის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა ეკუთვნის ტფილისის საბჭოს პლენუმს და მის პრეზიდიუმს.

46. იმ საერთო ხასიათის საკითხთა განსახილველად, რაც ორს ან რამდენსამე სექციის შეეხება,—ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის ნებართვით, შეიძლება მოწვევულ იქნეს ბიუროებისა ან სექციების პლენუმების გაერთიანებული სხდომა.

**შენიშვნა.** თავისი მუშაობისათვის სექცია გამოიყენებს ტფილისის აღმასრულებელი კომიტეტის სათანადო განყოფილების პარატს.

## თ ა ვ ი VI.

### ტფილისის საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობანი.

47. ტფილისის საბჭოს წევრი თავის მოვალეობას განახორციელებს:

ა) პირადი მონაწილეობით საბჭოს, მისი სექციებისა და კომისიების მუშაობაში;

ბ) საზოგადოებრივი მუშაობით, როგორც თავის დაწესებულებასა და საწარმოში, ისე სხვა საწარმოში;

გ) უწევლო და მციდრო კაშირით თავის ამომრჩევლებთან.

48. საბჭოს წევრი მოვალეა დაესწროს როგორც საბჭოს პლენუმისა, ისე იმ სექციისა და კომისიის სხდომას, სადაც იგი მუშაობს, შეასრულოს ყველა მათი დავალება.

**შენიშვნა.** უკეთუ საბჭოს წევრს არ შეუძლიან დაესწროს სხდომას ან შეასრულოს დავალება, იგი ვალდებულია ეს თავის დროზე აცნობოს საბჭოს პრეზიდიუმს, სექციის ბიუროს ან კომისიას.

49. სხდომებში მონაწილეობისა და დავალებათა შესრულების გარდა, ტფილისის საბჭოს წევრი:

ა) პირადად გაეცნობა მეურნეობის ან გამგებლობის ყოველ დარგს;

ბ) შეიტანს წინადადებას დაწესებულებასა თუ საწარმოს მუშაობაში მის მიერ შემჩნეული ნაკლის გამოსწორებისა და დაწესებულებისა თუ საწარმოს ორგანიზაციისა და მუშაობის გაუმჯობესების შესახებ;

გ) სამ ოვეში ერთხელ მაინც წარუდგენს ამომტრჩეველთ როგორც თავის, ისე საბჭოს, სექციისა და კომისიის მუშაობის ანგარიშს და ამომტრჩეველთა შენიშვნებსა და წინადაღებას შეიტანს საბჭოს განსახილელად;

ღ) მუშაობს, როგორც საბჭოს წარმომადგენლად მიჩნეული, ამა თუ იმ სა-  
წარმოსა და დაწესებულებაში და იმ ამომრჩეველთა შორის, რომელიც მოწყო-  
ბილ არ არიან წარმოებითი შენაერთებად;

ე) ოვალუქრს ადეკვიტობს, რათა განხორციელებულ იქნეს საბჭოს და იმ სექტიკისა თუ კომისიის გადაწყვეტილებანი, რომელშიაც იგი მუშაობს, და კველა იმ დაბრკოლებას, რაც აღნიშნულ გადაწყვეტილებათა პრაქტიკული დ განხორციელების დროს აღიძრის, სათანადო ორგანოს აცნობებს.

50. ტფილისის საბჭოს წევრი, უძლებისდაგვარად მონაწილეობას მიიღებს იმ დაწესებულებათა და საწარმოთა მუშა-მოსამსახურების საერთო და სადელეგატო კრებებზე, აგრეთვე ორგანიზაციულად დაურაზმელ ჯგუფების ყრილობებზე, რომელთა წარმომადგენლიც იგი არის ან და რომლებთანაც იგი მუშაობს როგორც საბჭოს მიერ მიჩნიალი წევრი.

51. ტფილისის საბჭოს წევრი მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი ხა-  
სიათის საწარმოო თაობირებას და კონფერენციებში, რასაც მოწყობს იმ სა-  
წარმოს ან დაწესებულების აღმინისტრაცია, რომლებთანაც იგი მიჩნილია, აგ-  
რეთვე მონაწილეობას მიიღებს პროფესიონალურ და სხვ. საზოგადოებრივ ორ-  
განიზაკიების მიერ მოწყობილ სესხსაც თაობირებში.

52. ამომრჩევლების საზოგადოებრივი ქატეგორიების განვითარებისათვის, საბჭოს წევრის დაუკისრება:

ა) წარუდგინოს მათ გამასახილელად საბჭოსა, სექციებსა და კომისიებში გადასატყვერი მორიგი საკითხები;

8) აუსნიას და განუმარტოს მთ საბჭოს გადაწყვეტილებანი და გადაწყვეტილებათა შესრულების წესი;

გ) მიიღოს საჩიტრები და პრეტენზიები და გადასცეს კუთვნილებისამებრ.

53. ის საწარმო და დაწესებულება, სადაც მსახურობს საბჭოს წევრი, მოვალეა საბჭოს ან მისი პრეზიდიუმის მოთხოვნით, გაართავისუფლოს საბჭოს წევრი მუშაობისაგან იმ დროს განმავლობაში, რაც საჭიროა დეპუტატის მოვალეობათა შესასრულებლად.

54. სასყიდელს იმ დროისთვის, რასაც ტუილისის საბჭოს შევრი ამა დებულებაში გათვალისწინებულ საღებულობრივ მოვალეობის შესრულებას მოანდომებს, უკეთ ამ მოვალეობის ასრულება სამუშაო დროს მოდის, სათანადო დაწესებულება ან საწარმო, სადაც იგი მუშაობს, გადაუხდის ამ წევრს მისი საშუალო სამუშაო ხელფასის რომელიმდენით.

55. ტფილისის საბჭოს წევრს, თავისი მანდატის შარდეგნისთანავე, შეუძლიან თავისუფლად და რიგს გარეშე შევიდეს ქალაქის ყველა (გამოუკლებლივ) დაწესებულებასა და საწარმოში, აგრეთვე უფლება ძევს მოითხოვოს და ვიიღოს საჭირო ცნობები და განმარტებანი, გარდა სიღუმლო ხასიათის ცნობებისა, რის მისაღებადაც საჭიროა პრეზიდიუმის ნებართვა.

56. უკეთუ ტფილისის საბჭოს წევრი დროებით დასტოებს მუდმივ საცხოვრებელ ადგილს, იგი ვალდებულია ეს წინასწარ აცნობოს ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმს, რომელსაც ამ წევრის არ ყოფის დროს საბჭოს შედგენილობაში შეჰვავს პირველი კანდიდატი იმავე საარჩევნო კრებისა.

57. ტფილისის საბჭოს წევრის დაპატიმრება არავის არ შეუძლიან საბჭოს პრეზიდიუმისა ან მისი თავმჯდომარისათვის წინასწარ შეუტყობინებლად.

განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება წევრის დაპატიმრება, ხოლო ეს დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საბჭოს პრეზიდიუმს ან თავმჯდომარეს, იმ მიზეზების ახსნა-განმარტებით, რამაც გამოიწვია დაუყოვნებლივ დაპატიმრება.

58. უმოქმედობისა, მოსახლეობასთან უხეშად მოპყრობისა, უმაღლეს ორგანოთა დადგენილებისათვის დაუმორჩილებლობისა ან არაწესიერად შესრულებისათვის, აგრეთვე საბჭოს, სექციებისა და კომისიების დაგალებათა შესრულებლობისა და საბჭოს სხდომებზე სისტემატიურად დაუსწრებლობისათვის (უკეთუ აღნიშნულ მოქმედება არ შეიცავს სისხლის სამართლის ქმედობის ნიშნებს) ტფილისის საბჭოს წევრის მიმართ შეუძლიან მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი ლონისძიება დისკიპლინალური ხასიათისა: გაფრთხილება, საყვედურის გამოცხადება, მისი მოქმედების ამომრჩევლებისათვის შეტყობინება და დეპუტატის უფლებების ჩამორთმება.

წესი ქალაქის საბჭოს და დეპუტატების ანგარიშებისა ამომრჩეველთათვის.

59. ტფილისის საბჭო მოვალეა რეგულიარულად, ექვს თვეში ერთხელ მაინც წარუდგინოს ამომრჩევლებს ანგარიში თვეისი მოქმედებისა და დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების შესახებ.

60. ტფილისის საბჭოს ანგარიში განიხილება ყველა კატეგორიის ამომრჩეველთა კრებაზე, რომელსაც მოიწვევს სათანადო პროფესიონალური, საბჭოთა და სხვა ორგანიზაცია, ყველა ერთად ან თვითეული ცალკე.

61. ანგარიშის წარდგენის დრო და ადგილი ამომრჩევლებს უნდა ეცნობოთ არა უგვიანეს სამი დღისა დანიშნულ ვადამდე.

62. საერთო კრება შემდგარად ჩაითვლება, უკეთუ მას დაესწრება სათანადო საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა რიცხვის ერთი-მესამედი მაინც. უკეთუ ამომრჩეველთა აღნიშნული რიცხვი არ გამოცხადდა, კრება დაინიშნება მეორედ, ხოლო არა უადრეს სამი დღისა პირველი სხდომის შემდეგ, და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი ამომრჩეველიც უნდა გამოცხადდეს.

63. საანგარიშო მოხსენებას განიხილავს საერთო კრება და გამოიტანს დადგენილებას, რომლითაც შეფასებულ უნდა იქნეს ქალაქის საბჭოს მოქმედება, ხოლო, თუ საჭირო იქნება, შეიძლება შეფასებულ იქნეს აგრეთვე საბჭოს ამათუ იმ წევრის მუშაობაც.

64. უკეთუ წარდგენილი ანგარიში არ იქნება ცნობილი დამაკმაყოფილებლად, საერთო კრების დადგენილებაში შეიძლება აღნიშნოს.

ა) საბჭოს მუშაობის ნაკლი;

ბ) საბჭოს წევრის მუშაობის ნაკლულოვანება;

გ) გადაწყვეტილება დეპუტატის გაწვევის შესახებ.

65. ამომრჩეველთა საქართო კრებაზე შედგენილ იქნება სათანადო ოქმი, რომელშიაც იღინიშნება საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა რიცხვი, კრების მონაწილეთა რიცხვი, პრეზიდიუმის შედგენილობა, მოხსენების მოკლე შინაარსი, მოხსენებით გამოშვეული წინადადებები და მიღებული დადგენილება, მისი მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა რიცხვის აღნიშვნით.

ოქმს ხელს მოაწერს კრების პრეზიდიუმი და იგი სამი დღის განმავლობაში წარედგინება საბჭოს პრეზიდიუმს.

66. დადგენილება დეპუტატის გაწვევის შესახებ კანონიერია, უკეთ ამ დადგენილებას ხმას მისცემს საარჩევნო ერთეულის ამომრჩეველთა რიცხვის ერთი მესამედი მაინც.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ მე-65—70 № №-ში 1927 წ. მარტის 24—30.

#### 46. დადგენილება № 34 ც. პ. კ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წლ. ოქტომბრის 30-ს თარიღისა და მე-13 №-რის დადგენილებით დაარსებული „მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის“ სახელწოდების შეცვლისა, ამავე კომიტეტის მიერ „საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დაარსების შესახებ“—1922 წ. ოქტომბრის 30 თარიღით და მე-13 №-რით გამოცემული დადგენილების გაუქმდისა და „მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის“ დებულების დამტკიცების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აღდგენს:

1. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. ოქტომბრის 30-ს თარიღისა და მე-13 №-რის დადგენილებით ამავე კომიტეტთან დაარსებულ „მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კომისიის“ შეცვალის სახელწოდება და ეწილოს „მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისია“.


2. გაუქმდებულ იქნას სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1922 წ. ოქტომბრის 30-ს თარიღისა და მე-13 №-რის დადგენილება „საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის დაარსების შესახებ“.

3. დამტკიცებულ იქნეს „მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიის“ შემდეგი დებულება.

#### დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიისა

1. დამტკიცებულ იქნეს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალურ აღმა-



სრულებელ კომიტეტთან მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გა-  
მაუმჯობესებელი კომისია.

2. მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელ კო-  
მისიაში შედიან:

თითო წარმომადგენელი:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციულებელი კომიტე-  
ტის პრეზიდიუმისა (იგივე—კომისიის თავმჯდომარე);

შრომის სახალხო კომისარიატისა (ამ კომისარიატთან ქალთა შრომის შე-  
სასწავლად არსებული კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე);

იუსტიციის სახალხო კომისარიატისა;

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშა-  
ქალთა და გლეხ-ქალთა განყოფილებისა;

• საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის მუშა-ქალთა  
და გლეხ-ქალთა განყოფილებისა;

ტფილისის იმასარულებელი კომიტეტისა;

რეპუბლიკანური კოოპერატიული ცენტრისა;

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი და

პასუხისმგებელი მდივანი, რომელსაც დანიშნავს სრულიად საქართველოს  
საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციულებელი კომიტეტი.

**შენიშვნა.** კომისიის შედგენილობას დაამტკიცებს სრულიად საქარ-  
თველოს საბჭოთა ცენტრალური ორგანიზაციულებელი კომიტეტის პრეზი-  
დიუმი.

3. კომისიის გამეცბლობის საგანს შეადგენს:

ა) ქალთა ეკონომიური მდგომარეობის და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესე-  
ბისათვის ღონისძიებათა შემუშავება და სათანადო ორგანიზაციების მეშვეობით  
განხორციელება; ეს ღონისძიება—მოწყობა საერთო საცხოვრებლებისა, დროე-  
ბით საცხოვრებელი სახლებისა, სახლოსნოებისა, სხვადასხვაგვარი კურსებისა  
ქალთა კვლილიტერის წარმატებისათვის (მათ ორგანიზაციისათვის ხელის შე-  
წყობა), ბაგებისა, დედის და ბავშის სახლებისა, სასოფლო-სამეურნეო კომუნე-  
ბისა, არტელებისა და სხვაგვარი მატერიალური დახმარების აღმოჩენა ქალთა  
სილატაკესა, უმუშევრობასა და მეძავეობასთან ბრძოლის საქმეში;

ბ) შემუშავება და არსებული წესისამებრ წარმართვა ისეთი კანონპროექ-  
ტებისა, რომელთაც მომქმედ კანონმდებლობაში შეავჭა ეს თუ ის დამატება ან  
ცვლილება მშრომელ ქალთა საბოლოო განთავისუფლებისა და ოჯახურ ურთი-  
ეობობაში და ყოფა-ცხოვრებაში ცრუ შეხედულებათა და ყალბ ჩატუნათა აღ-  
მოცხვრის მიზნით;

გ) ქალებისათვის იურიდიული დახმარების აღმოჩენა და, სათანადო ორ-  
განიზაციების და აგრეთვე კომისიის იურისკონსულტის მეშვეობით, მათი ინტე-  
რესების დაცვა როგორც სასამართლოში, ისე მის გარეშე;

დ) ეროვნულ უმცირესობათა მშრომელ-ქალთა ინტერესების დასაცავად სა-  
ჭირო ღონისძიების განხორციელება;

ე) ქალთა შორის კულტურულ-განმანათლებელი მუშაობის სათანადოდ და-  
კუნძულისათვის ხელისშეწყობა.

4. მშრომელ ქალთა შორის და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კო-  
მისია გამოპყოფს თავისი შედგენილობიდან პრეზიდიუმს სამ კაცისაგან, სა-  
ქართველოს კომისისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშა-ქალთა  
განყოფილების წარმომადგენლისა და კომისიის პასუხისმგებელი მდივნის აუცი-  
ლებელი მონაწილეობით.

5. კომისიის უფლება აქვს ყოველ ცალკე შემთხვევაში მოიწვიოს, სხდომის  
დღის წესრიგის მიხედვით, სათანადო სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო  
დაწესებულებისა, პროფესიონალური, სამეცნიერო, კომპერატიული და სხვა ორ-  
განიზაკის წარმომადგენელი; კომისიის უფლება აქვს აგრეთვე კომპტაციის  
წესით მოიწვიოს მცოდნე პირი სათათბირო ხმით.

6. მშრომელ ქალთა შორის და ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კო-  
მისია ანგარიშმგებელია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმა-  
სრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის წინაშე.

7. კომისია გამოიყენებს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის ტეხნიკურ აპარატს, მას ჰყავს აგრეთვე იურის-  
კონსულტი და ტეხნიკური მდივანი.

8. კომისიის აქვს სპეციალური ფულადი ფონდი, რასაც შეადგენს სახელ-  
მწიფო ბიუჯეტით ხარჯთ-აღრიცხვის ფარგლებში გაცემული თანხები, საქართ-  
ველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი  
მიზნობრივი თანხები, უმუშევრობასთან ბრძოლის ფონდიდან გამოყოფილი მიზ-  
ნობრივი თანხები და აგრეთვე სხვა წყაროები.

9. კომისიის უფლება აქვს შეიმუშავოს ინსტრუქცია ამა დადგენილების  
შესაფარდებლად.

10. აფხაზეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა, აქარისტანის ავტონომიური  
სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრა-  
ლურ აღმასრულებელ კომიტეტებთან მოეწყობა შშრომელ ქალთა შორის და  
ყოფა-ცხოვრების გამაუმჯობესებელი კომისიები, რომელიც იმოქმედებენ სათა-  
ნადო რესპუბლიკისა და ოლქის (ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ  
ამა დებულების საფუძველზე დამტკიცებული დებულების თანახმად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოლდია.

1927 წ. მარტის 15.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია ვაზ. „კომუნისტის“ მე-77 წ. ში 1927 წ. აპრილის 7.

47. დადგენილება № 35 ც. ს. ქ. დას. ქ. ს.

მოუვლელობის გამო ქალაქად ხაცევარებელი შენობების მუნიციპალიტაციის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა კუნტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენერნ:

1. ის საცხოვრებელი შენობა ქალაქიდ, რომლის მფლობელიც ამ შენობას დაქცევისაგან გადარჩენისათვის საჭირო რემონტს არ უკეთებს, შენიციპალი-ზაციით ჩამორთმეულ უნდა იქნეს ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წე-სისამებრ.

2. უკეთ აღმოჩნდება ისეთი შენობა, რომელიც რემონტის გაუკეთებლა-  
ბის გამო იქცევა, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი მოვალეა მოახდი-  
ნოს გასინჯვა-დათვალიერება ამ შენობისა სპეციალური კომისიის მეშვეობით და  
ტიხენიური ზედამხედველობის მონაწილეობით.

3. უკეთუ გასინჯვა-დათვალიერებით გამორჩევიულ იქნა, რომ შენობას მოვლა-პატრონობა აქლია და ეს იწვევს მის დაქცევას, ზემოაღნიშნული კომი-სია შეადგენს სათანადო აქტს შენობის მფლობელის თანდასწრებით. მფლობე-ლის გამოუტადებლობა, უკეთუ მან შეტყობინება მიიღო, ვერ დააბრკოლებს აქტის შეადგენას.

4. ტენიკური გასინჯვა-დათვალიკების აქტის შედგნასთან ერთად კომისია გამოიანგარიშებს შენობის საერთო შემოსავალს და ყველა, მის შესანახად საჭირო ხარჯს, აგრეთვე გამოარკვევს მფლობელის ნივთიერ შესაძლებლობას რემონტის გაკეთებისათვის.

5. უკეთ გამორკვეული ცნობების მიხედვით ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი დარწმუნდება, რომ მფლობელს შესაძლებლობა აქვს შენობის შემოსავლით ან სხვა რამეგ წყაროთი გააკეთოს საჭირო რემონტი, იგი მისცემს მფლობელს წერილობითი წინადადებას გასწიოს რემონტისათვის საჭირო ხარჯები, თანაც განუსაზღვრავს მუშაობისათვის საჭირო ვადას, რაც დამოკიდებულია სამუშაოს თვისებასა და ხასიათზე, იგრეთვე მფლობელის ნივთიერ შესაძლებლობაზე.

6. რემონტისათვის მიცემული ვადის გასვლისას, კომისია კვლავ მოახდენს შენობის გამოყენებას, მთლიანობისათვის წინააღმდეგ შეტყობინებით.

მულობელის გამოუტადებლობა, უკეთუ შეტყობინება მიიღო, შენობის გა-  
მოვლენას ვერ შეაჩინა.

7. გამოკვლევის შედეგების თაობაზე კომისია შეადგენს აქტს ჟურალის დამსტრიქტის ხელმოწერით.

8. უკეთუ გამოკვლევით (მუხ. 6) გამოირკვა, რომ შენობის მფლობელს დაკისრებული ჩემონტი არ გაუკეთებია, ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტი აღმრავს სათანადო სახალხო სასამართლოს წინაშე შუამდგომლობას, რათა სასამართლომ დაადასტუროს შენობის მოუკლელობის თარი.

ლექტელი კომიტეტის პრეზიდიუმის შენობის მუნიციპალიტაციის შესახებ. წინადაღიანი ასათან ერთად წარდგენილ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-3 და 7 მუხლ. აღნიშნული გასინჯვა-დათვალიერებისა და გამოცვლევის აქტები და აგრძელების ასახლო სახამართლოს დადგენილების ასლ.

10. შენობის მუნიციპალიტაცია მოხუცება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1-ლი მუხ. თანაბად, უსასყიდლოთ.

**შენიშვნა.** გასინჯვა-დათვალიერების შედეგ (მე-3 მუხ.) შენობის მესამე პირის ხელში გადასკვთა ეკრ დააბრკოლებს მუნიციპალიტაციას ამა დადგენილებაში გათვალისწინებული წესით.

11. დადგენილება ესე შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსში 69 მუხლის შენიშვნის დანართად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. ჩახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოლრია.

1927 წ. მარტის 20.

ტულიანი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-71 №-ში 1927 წ. მარტის 31.

#### 48. დადგენილება № 36 ც. ა. კ. და ს. კ. ს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლებათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე II-ე ბორვევის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10 ის თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე 2 მუხ. თანაბად—სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 69 მუხლს დაემატოს შემდეგი წინაარსის შენიშვნა:

**შენიშვნა.** მოუვლებობის მიზეზით ქალაქიდ საცხოვრებელი შენობის მუნიციპალიტაციაციი მოხუცება უსასყიდლოდ, განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესისამებრ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. ჩახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი სრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოლრია.

1927 წ. მარტის 20.

ტულიანი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-74 №-ში 1927 წ. აპრილის 3.

## 49. დადგენილება № 37 ც. ა. პ. და ს. პ. ს.

საქართველოს სსრ ეკონომიკურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს მონაწილეობის შესახებ საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში გადამწყვეტი ხშირ უფლებით.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური იღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

საქართველოს სსრ ეკონომიკურ საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს სხდომებში მონაწილეობას გადამწყვეტი ხშირ უფლებით მიიღებს.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური იღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო

კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაზავა.

სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრალური იღმასრულებელი კომიტეტის მდიგანი ს. თოდრია.

1927 წ. მარტის 20.

ტფილის—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ მე-75 №-ში 1927 წ. აპრილის 5.

## 50. დადგენილება № 38 ც. ა. პ. და ს. პ. ს.

სისხლის ხაზ. კოდექ. ის 82 და 82<sup>1</sup> მუხლების შეცვლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-II-ე მოწვევის ცენტრალური იღმასრულებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-რის დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური იღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

სისხლის სამართლის კოდექსის 82 და 82<sup>1</sup> მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

მუხ. 82. თავის არიდება ჯარში გაწვევამდე წინასწარ მოშადებასაგან და შესამოწმებელ შეკრებისაგან გამოიწვევს

იძულებითი მუშაობას ორ თვემდე ან ჯარიმას ორას მანეთამდე.

თავის არიდება საშუალო და უფროს მეთაურთა სათადარიგო შედეგნილობის მიერ სასწავლო შეკრებისაგან ან სამხედრო მსახურთა და წვევამდელთა ჯარგარეშე მოშადებაში ინსტრუქტორის სახით მონაწილეობის მიღებისაგან, აგრეთვე მუშაობა და გლეხთა წითელი არმიის უფროს მეთაურთა სათადარიგო

შედეგნილობის მიერ თავის არიდება მოძრავი თავმოყრისა, ველად გასვლისა, მანევრებისა და სამხედრო თამაშისაგან გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ორ თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.

მუხ. 82<sup>1</sup>. თავის არიდება საცდელ და შესამოწმებელ მობილიზაციისაგან გამოიწვევს

იძულებით მუშაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე. სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქართველოს სსრ. სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრიგა.

1927 წ. მარტის 20.

ტფილისი—სასახლე.

### 51. დადგენილება № 39 ც. პ. პ. და ს. პ. ს.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად აღმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის გადასახდელის დადების დებულების დამტკიცებასა და სამქმედოდ შემოლების შესახებ:

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოლებულ იქნეს ამასთანავე დართული დებულება სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად აღმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის გადასახდელის დადების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. შახარაძე.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიავა.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ხ. თოდრიგა.

1927 წ. მარტის 20.

ტფილისი—სასახლე.

### დებულება

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად აღმინისტრატიული წესით სადევნელ ქმედობათათვის გადასახდელის დადების შესახებ.

1. გადასახდელს ისეთ ქმედობისათვის, რაც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად დევნილ უნდა იქნეს აღმინისტრატიული წესით, დაადებს სამაზ-

რო აღმასრულებელი კომიტეტის სააღმინისტრაციით განყოფილების უფროსი, ხოლო იქ, სადაც ასეთი განყოფილება არ არსებობს—მაზრის მილიციის უფროსი, უკეთუ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლში სხვა რამ არ არის ნათევამი.

**შენიშვნა.** აღმინისტრატიული გადასახდელის დადგების წესი ისეთი საქმის გამო, რაც ოქმის აღმასრულებელ კომიტეტს ექვემდებარება, განისაზღვრება განსაკუთრებული დეპულებით.

